

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა
და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი N 2

ქ.ვანი თავისუფლების N65

25 დეკემბერი 2017 წელი

1: 00 საათი

სხდომას თავმჯდომარეობდა: ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - რამაზ არველაძე

სხდომას ესწრებოდნენ: რამაზ არველაძე, დავით ხარძეიშვილი, თენგიზ დვალიშვილი, გელა ღვიტიძე, ეთერ ჭიჭინაძე, გიგა გოგიბერიძე, კობა ძაგნიძე, აპოლონ რამიშვილი.

საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - ლუბა კიკაბიძე

საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდა: ვლადიმერ ჭვალაძე, თორნიკე ერისთავი, ამირან ტალახაძე.

დასწრების ფურცელი თან ერთვის / დანართი: N1/

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის გეგმიური სხდომა 2017 წლის 25 დეკემბერი.

დღის წესრიგი

1 ვანის მუნიციპალიტეტის მერიის განკარგულების პროექტები სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: ზ. კაპანაძე/

2. მზრუნველობამოკლებულ მოქალაქეთა უფასო სასადილოს 2018 წლის მენიუს და მოქალაქეთა სახელობითი სიის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: რ. არველაძე/

3. ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის განხილვა.

/მომხსენებელი: რ. არველაძე/

კომისიის თავმჯდომარემ დასამტკიცებლად წარადგინა სხდომის დღის წესრიგი:
კომისიის წევრებმა კენჭი უყარეს და დაამტკიცეს დღის წესრიგი.

მომხრე-8
წინააღმდეგი- არცერთი
დანართი /2/

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური სამსახურის უფროსმა ბ.ნ ზვიად კაპანაძემ კომისიას წარმოუდგინა ვანის მუნიციპალიტეტის მერიის განკარგულების პროექტები სოციალური პროგრამების დამტკიცების შესახებ :

კერძოდ;

1. ახალშობილთა ოჯახებისათვის დახმარება
2. დიალიზის პროგრამაში ჩართულთა დახმარება
3. დღეგრძელთა (100 და მეტი წლის) დახმარება
4. მარჩენალგარდაცვლილ პირთა დახმარება
5. მეორე მსოფლიო ომის, ჩერნობილის ატომური ელ.სადგურის ავარიის სალიკვიდაციო სამუშაოების მონაწილეებისათვის და 9 აპრილს დაზარალებულთათვის დახმარება
6. მზრუნველობამოკლებულთა კვებით უზრუნველყოფა
7. მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება
8. პირველი ჯგუფის ინვალიდებისათვის დახმარება
9. საბრძოლო მოქმედებების შედეგად დაღუპულთა ოჯახების დახმარება
10. სამედიცინო დახმარება
11. სარიტუალო დახმარება
12. სოციალურად დაუცველი ოჯახების სტუდენტთა დახმარება
13. სტიქიით დაზარალებულთა დახმარება
14. ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვების დახმარება

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დაისვა კითხვები: ახალშობილთა ბავშვებზე თუ გაიზარდა თანხის მიცემა, მომხსენებელი პასუხობს, ამ ეტაბზე ახალშობილებზე

თანხა იგივე რჩება, ასევე ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვების დახმარების პაკეტში შევიდა 18 წლამდე ასაკის ფენილკეტონურიით დაავადებული ბავშვებისათვის ყოველთვიურად ფულადი დახმარების გაწევა, სულ ჩვენს რაიონში ასეთი ბავშვი არის ოთხი, რომლებსაც ჭირდებათ სპეციალური კვება.

კომისიის თავმჯდომარემ და წევრებმა აღნიშნეს, ფინანსური დახმარება დაზარალებულს მიეცეს ერთჯერადად, დახმარების ოდენობა განისაზღვროს ხანძრის შედეგად დაზარალებულ ოჯახზე 3000 ლარის ოდენობით, ხოლო სტიქიის შედეგად დაზარალებულ ოჯახზე არაუმეტეს 2000 ლარისა, მომდევნო კომისიის სხდომისთვის აღნიშნული პროექტი შემოვიდეს კორექტირებული და ჩვენ თავიდან ჩავატარებთ კომისიის სხდომას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

მომხსენებელმა ბ.ნ ზვიად კაპანაძემ დაეთნხმა კომისიის წევრებს და აღნიშნა, რომ ჩვენ ახალ კორექტირებულ სოციალურ პროგრამებს გადმოვაგზავნით უახლოეს ვადაში. კომისიის მხრიდან სხვა შენიშვნები და მოსაზრებები არ დაფიქსირებულა.

მომხრე-8

წინააღმდეგი- არცერთი
/დანართი N3/

მეორე საკითხად კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „მზრუნველობამოკლებულ მოქალაქეთა უფასო სასადილოს 2018 წლის მენიუს და მოქალაქეთა სახელობითი სიის დამტკიცება და კომისიის თავმჯდომარემ განმარტა, რომ უფასო სასადილოს მენიუთი სარგებლობდა 33 მოსარგებლა, დღეს ჩემთვის გახდა ცნობილი, რომ ერთი პიროვნება არის გარდაცვლილი (ნელი ნამიჭეიშვილი) აქედან გამომდინარე ჩვენ უნდა დავამტკიცოთ და ბიუროს სხდომაზე გავიტანოთ მზრუნველობამოკლებულთა სასადილოთი 32 მოსარგებლეთა სია.

კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ მომდევნო სხდომისთვის კორექტირება იქნეს შეტანილი წარმოდგენილ 2018 წლის სოციალურ პროგრამების პაკეტში.

კომისიამ მხარი დაუჭირა აღნიშნულ საკითხს, რომელიც მზად არის ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

მომხრე-8

წინააღმდეგი- არცერთი
დანართი /4/

დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო ვანის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი, კომისიის წევრების მხრიდან იყო შენიშვნები და მოსაზრებები, კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ აღნიშნულ საკითხზე უფრო სიღრმისეულად ვისაუბრებთ საკრებულოს სხდომაზე და დავაფიქსირებთ ჩვენ-ჩვენ მოსაზრებებს.

კომისიამ მიიღო ცნობის სახით აღნიშნული საკითხი

მომხრე-8
წინააღმდეგი- არცერთი
დანართი /5/

საკითხის ამოწურვის შემდეგ კომისის თავმჯდომარემ რამაზ არველაძე სხდომა დახურულად გამოაცხადა.

რამაზ არველაძე
ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე